

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

A handwritten signature in blue ink, written over a horizontal line.

კახაბერ კირტავა

__29__._12___.2014 წელი

2 ეგზ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 30/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჟ ე ვ ი

აუდიტის მასშტაბი.....	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	6
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	11
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	11
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	11
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	12

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების ფინანსური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებული, 2013 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (კოდი 0100), სახანძრო სამაშველო სამსახური (კოდი 0200), შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება (კოდი 0300), თავდაცვის ღონისძიებები (კოდი 0400), ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი 0500), საშუალო და ზოგადი განათლება (0700), სპორტული და კულტურული ღონისძიებები (კოდი 0800), სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები (კოდი 0900). აუდიტორული პროცედურები განხორციელდა შერჩევითობის მეთოდის გამოყენებით გენერალური ერთობლიობის შესახებ დაკვნის გამოსატანად.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსულობებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად აღრიცხული 108 283 ლარი და აუდიტის პერიოდში 2012 წლის ბუღალტრული ბალანსის წარმოუდგენლობა, ფინანსური აღრიცხვის ხარვეზებზე მიუთითებს.

- 2012 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, თვითმმართველი ერთეულის დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები 108 283 ლარი, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მუხლის

ნაცვლად, დაფინანსებულია სუბსიდიის მუხლით, რითაც დაღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის მოთხოვნები.

- აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბუღალტრული ბალანსი დამტკიცებული ფორმების მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილი პირის განმარტებით აღნიშნული გამოწვეულია კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის მწყობრიდან გამოსვლით, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სამუშაოები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შემოსულობები

დაზუსტებული ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტის 2012 წლის შემოსულობები განისაზღვრა 10 864 898 ლარით. ფაქტობრივი შემოსულობები შეადგენს 10 919 105 ლარს (გეგმის 100,49%), მათ შორის შემოსავლები შეადგენს 10 871 848 ლარს (გეგმის 100,47%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 47 257 ლარს (გეგმის 105,49%).

შემოსავალი

დაზუსტებული ბიუჯეტით, 2012 წლის შემოსავლების გეგმა შეადგენს 10 820 102 ლარს, ფაქტობრივი საკასო შესრულება შეადგენს 10 871 848 ლარს, ანუ გეგმის 100,47%. მათ შორის გადასახადების ნაწილში გეგმა შესრულდა 101,68 %-ით (გეგმა 1 133 861 ლარი, საკასო შესრულება 1 152 988 ლარი), გრანტების ნაწილში 100%-ით (გეგმა 8 361 160 ლარი, საკასო შესრულება 8 361 160 ლარი), სხვა შემოსავლების ნაწილში 102,46%-ით (გეგმა 1 325 081 ლარი, საკასო შესრულება 1 357 700 ლარი).

გაწეული ხარჯი

მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს გაწეულია 10 725 312 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 757 848 ლარი (გეგმის 101.54%). სხვაობა გამოწვეულია 2012 წლის დეკემბრის თვეში ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის ზედმეტად გადახდით. პრემიების გაცემა ხდებოდა თითოეულ თანამშრომელზე ყოველკვარტალში, საშუალოდ თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სხვადასხვა სამშენებლო მასალების ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც საბიუჯეტო სახსრების მართვის არაეფექტიანობაზე მიუთითებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 5 შემთხვევაში¹, სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო მონაცემების მოუმზადებლობის პირობებში, შესყიდული იქნა სხვადასხვა

¹ 1.) გ.ე.ტ. SPA 120009987 ხელშეკრულება N76 19.04.2012წ. თანხა 21495 ლარი, მიმწოდებელი შპს „მაჯა“; 2.) გ.ე.ტ. SPA 120011869 ხელშეკრულება N92 07.05.2012წ. თანხა 18955 ლარი, მიმწოდებელი შპს „მაჯა“; 3.) ე.ტ. SPA 120019600 ხელშეკრულება N203 20.08.2012წ. თანხა 39989 ლარი, მიმწოდებელი შპს „მაჯა“; 4.) გ.შ.

სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები 110 493 ლარის ოდენობით, ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნული მასალების მიღება-ჩაბარება განხორციელებულია თემის რწმუნებულებზე/გამგეობის წარმომადგენელზე, თუმცა მათი შემდეგი ფაქტობრივი ხარჯვის დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ფასთან შესაბამისობის რეალობა და მათი შემდგომი მიზნობრივი გამოყენება მაღალი რისკის შემცველია.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებით სამუშაოზე ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ გადახდილი იქნა 5 760 ლარი და არ იქნა დარიცხული პირგასამტეხლო 19 565,7 ლარის ოდენობით, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ/არაპროდიქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ხელშეკრულება გაუფორმა შპს „სანდასუფთავებას“ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების მიზნით, ღირებულებით 163 048 ლარი ². როგორც სატენდერო დოკუმენტაციით, ასევე ხელშეკრულებით სხვა სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებული იყო 40 000 კვ.მ მონაკვეთის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, რომლის ერთი თვის ღირებულებაც შეადგენდა 2880 ლარს. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებით, მიმწოდებელი აღნიშნულ მომსახურებას ყოველდღიურად ახორციელებდა, თუმცა მუნიციპალიტეტში არსებული შესაბამისი კომისიის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ 2012 წლის თებერვლის თვიდან მაისის ჩათვლით, 4 თვე, ზემოაღნიშნული მონაკვეთის დაგვა-დასუფთავება ყოველდღიურის ნაცვლად განხორციელებული აქვს ორ დღეში ერთხელ, შესაბამისად, აღნიშნულ თვეებში ანაზღაურებას ექვემდებარებოდა 2880 ლარის ნაცვლად 1440 ლარი. სულ 4 თვის გათვალისწინებით ზედმეტად გადახდილია 5760 ლარი. ასევე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0.2%-ის ოდენობით. შესაბამისად 4 თვის პერიოდში ვადაგადაცილების პერიოდი წარმოადგენს თვეში 60 დღეს, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით დარიცხვას დაექვემდებარებოდა 19 565.7 ლარი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღის, საჯარო სკოლისა და წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, სათანადო დასაბუთების

26.09.2012წ. ხელშეკრულება N240 26.09.2012წ. თანხა 15003,7 ლარი, მიმწოდებელი შპს „მაჯა“ 5.) გ.შ. 25.05.2012წ. ხელშეკრულება N119 თანხა 11780 ლარი, მიმწოდებელი შპს „მშვილდოსანი“. 6.) გ.შ. 05.11.12წ. N273 ხელშეკრულება თანხა 3270.96 მიმწოდებელი შპს „სტანდარტმეტრ ჯგუფი“.

² ხელშეკრულება N23 01.02.2012წ.

გარეშე, სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება და სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების პირობებში ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის უკან დაბრუნება, 23 940 ლარის საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა, ხელვაჩაურის საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა-კეთილმოწყობის II ეტაპის სამუშაოებისათვის, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „NEW STYLE-ს“, ღირებულებით 14 444 ლარი, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 30 ნოემბერი. ამავე წლის 26 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებით³, განხორციელდა ცვლილება ხარჯთაღრიცხვაში და შესყიდვის ობიექტის ჩაბარების ვადა გაგრძელდა 15 კალენდრული დღით, თუმცა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მხარეებმა ხარჯთაღრიცხვიდან ამოიღეს 1044 ლარის ღირებულების სამუშაოები⁴ და გაზარდეს ხარჯთაღრიცხვაში უკვე არსებული 700 კვ.მ კორდის დაგების ღირებულება 1 040,09 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონშესაბამოდ⁵, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, გაზრდილი იქნა კორდის დაგების ღირებულება 1264,13 ლარით (დარიცხვების ჩათვლით) და ამავდროულად 1268,88 ლარის ღირებულების(დარიცხვების ჩათვლით) სამუშაოების შემცირების პირობებში, გაგრძელებული იქნა სამუშაოების შესრულების ვადა, რაც 360 ლარის პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა, ორთაბათუმის თემში საჯარო სკოლის ბაზაზე ბავშვთა ბაღის მოწყობის სამუშაოებისათვის, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხელშეკრულება⁶ გაუფორმა შპს „WEST GROUP XXI-ს“, ღირებულებით 50 500 ლარი, სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 31 აგვისტომდე. ამავე წლის 29 აგვისტოს, სამუშაოების დასრულების ვადამდე 1 დღით ადრე, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმით⁷ ირკვევა, რომ მიმწოდებელმა, პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილებების გამო ვერ მოახერხა ობიექტის ჩაბარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, რის გამოც ითხოვს ვადის გაგრძელებას. იმავე დღეს მხარეთა შორის განხორციელებული შეთანხმებით⁸, შესყიდვის ობიექტის ჩაბარების ვადა გაგრძელებული იქნა 2012 წლის 25 სექტემბრამდე. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვასა და პროექტში რაიმე სახის ცვლილებები არ განხორციელებულა, შესრულებული სამუშაოების მოცულობები შესრულებულია ხელშეკრულებაზე თანდათული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შესაბამისად სამუშაოების ვადის გაგრძელება პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მოტივით ყოველგვარ საფუძველს

³ ურთერთ შეთანხმების აქტი N1 26.11.2012წ.

⁴ 1. გარე კედლების მაღალხარისხოვანი შებათქამება რუსტიკებით 1040,09ლ. 2. გარე ინვენტარული ხარაჩოს დაყენება და დაშლა სიმაღლით 6 სანტიმეტრამდე - 1044ლ. -- დარიცხვების გარეშე

⁵ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 21-მუხლის მე-5 პუნქტი.

⁶ ხელშეკრულება N110 21.05.2012წ.

⁷ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N5

⁸ ურთერთ შეთანხმების აქტი N1 29.08.2012წ.

მოკლებულია, რაც შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე 3282⁹ ლარის პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა, სოფ. ახალშენში, ეკლესიის მიმდებარე დასახლების წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და არხის მოწყობისათვის, ელექტრონული ტენდერის¹⁰ საშუალებით, ხელშეკრულება¹¹ გაუფორმა შპს „Don Bat-ს“, ღირებულებით 30 399 ლარი, სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 30 ნოემბრამდე. ამავე წლის 29 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების¹² შედეგად, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში განხორციელდა ცვლილება და შესყიდვის ობიექტის ჩაბარების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 25 დეკემბრამდე. როგორც სატენდერო კომისიის ოქმით¹³, მიმწოდებლის წერილით¹⁴ და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 800 მმ-იანი ბეტონის მილის ჩადება მზა ტრანშეაში - 252 გრძივი მეტრი, საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნული სამუშაო შეიცვალა შემდეგით: 1000 მმ-იანი (შიდა დიამეტრის) რკინა-ბეტონის მილის ჩადება მზა ტრანშეაში - 131 გრძ.მეტრი. ხარჯთაღრიცხვის სხვა მოცულობები დარჩა უცვლელი. ზემოაღნიშნული მოტივით, ტრანშეაში მილის მოწყობის 51 პროცენტით შემცირების პირობებში, მიმწოდებლისათვის სამუშაოების ვადის გაგრძელება საფუძველს მოკლებულია, რაც შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე 1900¹⁵ ლარის პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში, სამუშაოების არასრულად შესრულებისა და ვადაგადაცილების შემთხვევებში არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები 9 883,85 ლარის ოდენობით, ასევე ერთ შემთხვევაში სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების პირობებში მიმწოდებელზე დაბრუნებული იქნა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია 7250 ლარი, კერძოდ:

N	ხელშეკრულება				ფაქტობრივი მიწოდება		სავარაუდო პირგასამტეხლო		არ ექვემდებარებო და საგარანტიო თანხა უკან დაბრუნებას
	N	თარიღი	თანხა	მიწოდების ვადა	თარიღი	თანხა	ვადაგადაცილები სათვის	არაჯეროვნად შესრულებისათვის	
1	263	19.10.12	6000	07.11.12	12.12.12	6000	1020		
2	151	28.06.12	20780	11.08.12	13.08.12	19429		1039	
3	150	28.06.12	11498	11.08.12	13.08.12	11498		574.9	

⁹ 50500X0.25%X26=3282.5

¹⁰ SPA120023811

¹¹ ხელშეკრულება N267 26.10.2012წ.

¹² ურთიერთშეთანხმების აქტი N1 29.11.2012წ.

¹³ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის ოქმი N5 29.11.2012წ.

¹⁴ შპს „დონ ბატის“ წერილი, შემოსული კორესპოდენციით N1292 29.11.2012წ.

¹⁵ 30399X0.25%X25=1899,9ლ.

4	115	25.05.2012წ	144999	14.11.12		138512		7249.95	7250
ჯამი			183277			175439	1020	8863.85	7250
სულ ჯამი							17133.85		

4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვების მართვის ხარვეზების შედეგად არაეკონომიურად გახარჯული იქნა 13 253 ლარი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების პროცესში, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ფასი შეუსაბამობაშია წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებებთან. კერძოდ, რიგ შემთხვევებში სამუშაოების კრებსითი ხარჯთაღრიცხვა მოიცავს ტექნიკური ზედამხედველობის, საავტორო ზედამხედველობის, საპროექტო სამუშაოებისა და ექსპერტიზის თანხებს, თუმცა იმ პირობებში, როდესაც ზემოაღნიშნული მომსახურებების შესყიდვა არ იყო გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სავაჭრო ფასად აღებული იქნა სრული თანხა, აღნიშნული მომსახურებების ღირებულების გამოკლების გარეშე, რის შედეგადაც გაზრდილი იქნა შესყიდვის ობიექტის საბაზრო ფასი და ზედმეტად იქნა გადახდილი 13 253 ლარი. ესენია:

N	პროექტით გათვალისწინებული თანხა							ჯამი	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	გამოსაცხადებელი ფასი	სხვაობა
	სამუშაოების ჯამი	ტექნიკური ზედამხედველ ობა	საავტორო ზედამხედველ ობა	საპროექტო სამუშაოები	ექსპერტიზა	გაუთვალისწინ ებელი სამუშაოები	დღგ				
ხელშეკრულება N115 25.05.2012წ. მიმწოდებელი შპს „ქეურინა“											
1	173 060.00	0.00	1 730.00	0.00	0.00	0.00	31 460.00	206 250.00	206 250.00	204 210.80	2 039.20
ხელშეკრულება N95 08.05.2012წ. მიმწოდებელი შპს „მაჯა“											
2	35 394.29	353.94	24.59	819.60	273.42	1 101.99	6 834.21	44 802.04	44 669.00	43 065.61	1 603.39
ხელშეკრულება N271 05.11.2012წ. მიმწოდებელი შპს „მაჯა“											
3	191 980.00	940.00	380.00	1 140.00	0.00	3 890.00	35 700.00	234 030.00	234 030.00	232 235.80	1 794.20
ხელშეკრულება N89 07.05.2012წ. მიმწოდებელი შპს „გია“											
4	48 852.45	488.52	24.59	819.60	273.42	1 509.77	9 354.30	61 322.65	61 129.00	59 427.42	1 701.58
ხელშეკრულება N110 21.05.212წ. მიმწოდებელი შპს „WEST GROUP XXI“											
5	64 521.28	645.21	110.98	3 699.00	1 233.98	2 088.33	12 983.78	85 287.56	84 714.00	78 599.34	6 114.66
ჯამი	513 808.02	2 427.67	2 270.16	6 478.20	1 780.82	8 590.09	96 332.29	631 692.25	630 792.00	617 538.97	13 253.03

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ 292 915 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენილობა, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ განკარგვაზე მიუთითებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, 10 შემთხვევაში, 2012 წლის პერიოდში განხორციელებული¹⁶ 292915,87 ღირებულების სხვადასხვა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო

¹⁶ ხელშეკრულებები: N197 14,08,2012; N204 20,08,2012; N255 11,10,2012; N135 19,06,2012; N106 17,05,2012; N2013 04,09,2012; N207 24,08,2012; N209 29,08,2012; N269 29,10,2012; N202 18,08,2012.

სამუშაოებთან დაკავშირებით, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წამოდგენილი შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რაც აღნიშნული სამუშაოების საბაზრო ფასთან შესაბამისობის რეალობის რისკზე მიუთითებს.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

✓ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში, უმეტეს შემთხვევაში, მიმწოდებელის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე დაასაქმოს შემსყიდველის მიერ მითითებული პირები, კონკრეტული ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წამოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, თუ როგორ ხდებოდა სავარაუდო დასაქმებულთა შერჩევა და რა კრიტერიუმებით, ამასთანავე როგორ ხდებოდა აღნიშნული ვალდებულების შესრულება.

✓ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა M-250 მარკიანი მზა სასაქონლო ბეტონის შესყიდვის მიზნით, სულ 2012 წლის პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება შეადგენს 1 318 640 ლარს, რაც სრულად იქნა დაფინანსებული, თუმცა აღნიშნული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობების დადგენის მიზნით, საექსპერტო დასკვნები არ ფიქსირდება, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გურამ დუმბაძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურანდა გვაზავა

/აუდიტორი/

მიხეილ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

29/12/2014 წელი

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი
და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კვარტალური
ბიუჯეტების შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ავტონომიური რესპუბლიკა აჭარა

თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტი ხელვაჩაური

პერიოდულობა: კვარტალური, 2012 წლის „წლიური“
ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის წარდგენის ვადა (თარიღი)

-18-“ - თებერვალი- 2013 წ.

აღრესათის მიერ ანგარიშის მიღების თარიღი

„-----“ ----- 2013 წ

სელექტური მუნიციპალიტეტი

დასახელება	2012 წლის დამტკიცებული გეგმა		2012 წლიური დაზუსტებული გეგმა		2012 წლიური საკისო შესრულება	
	სულ	მათ შორის სახ. ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ. ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ. ბიუჯეტ ფონდები
შემოსავლები	10 281,602	1 665,460	10 820,102	1 665,460	10 871,848	1 665,460
გადასახადები	1 133,861	0,000	1 133,861	0,000	1 152,988	0,000
გრანტები	7 822,660	1 665,460	8 361,160	1 665,460	8 361,160	1 665,460
სხვა შემოსავლები	1 325,081		1 325,081		1 357,700	
ხარჯები						
პროგრამის ანაზღაურება	5 422,282	176,000	5 957,782	176,000	5 185,644	39,696
საქონელი და მომსახურება	1 731,085	0,000	1 731,085	0,000	1 757,848	0,000
პროცენტი	1 356,573	16,000	1 397,406	16,000	1 224,989	0,961
სუბსიდიები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
გრანტები	1 781,489	0,000	1 781,489	0,000	1 774,092	0,000
სოციალური უზრუნველყოფა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
სხვა ხარჯები	388,385	160,000	953,435	160,000	355,256	38,735
საოპერაციო ხარჯები	167,750	0,000	94,367	0,000	73,459	0,000
საოპერაციო ხარჯები	4 859,320	1 489,460	4 862,320	1 489,460	5 686,204	1 625,764
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7 369,323	1 489,460	7 369,323	1 489,460	5 539,668	1 482,136
ზრდა	7 414,119	1 489,460	7 414,119	1 489,460	5 586,925	1 482,136
კლება	44,796		44,796		47,257	
მთლიანი ხარჯები	-2 510,003	0,000	-2 507,003	0,000	146,536	143,628
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 556,676	0,000	-2 556,676	0,000	98,702	143,628
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	593,628	143,628
გადასახადები და დეპოზიტები	0,000	0,000	0,000	0,000	593,628	143,628
სესხები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
აქციები და სხვა კაპიტალი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
სხვა დებიტორული და ვალდებულებები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
კლება	2 556,676	0,000	2 556,676	0,000	494,926	0,000
გადასახადები და დეპოზიტები	2 556,676	0,000	2 556,676	0,000	494,926	0,000
სესხები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
აქციები და სხვა კაპიტალი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
სხვა დებიტორული და ვალდებულებები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
გადასახადების ცვლილება	-49,673	0,000	-49,673	0,000	-47,834	0,000
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
საგარეო	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
საშინაო	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
კლება	49,673	0,000	49,673	0,000	47,834	0,000
საგარეო	49,673	0,000	49,673	0,000	47,834	0,000
საშინაო	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

ნაშთი წლის დასაწყისისათვის
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის

3 089,445
3 188,147

აღმასრულებელი ორგანოს ხელმოწერა

ლ. ლორთქიფანიძე

ხელეგარანის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 2012 წელი

დასახელება	2012 წლის დამტკიცებული ავგა	2012 წლის საბუღალტრო დაზუსტებული ავგა	2012 წლის ფაქტობრივი შესრულება
შემოსულობები			
შემოსულობები	10 326,398	10 864,898	10 919,105
არაფინანსური აქტივების კლება	1	10 281,602	10 820,102
ფინანსური აქტივების კლება	31	44,796	10 871,848
გადაფარვების ზრდა	32	0,000	47,257
გადაფარვების ზრდა	33	0,000	0,000
შემოსულობები			
გადასახადები	10 281,602	10 820,102	10 871,848
საშემოსულო გადასახადი	11	1 133,861	1 133,861
კონტინგენტები	11111		1 152,988
საქართველოს საერთაშორისო კონტინგენტი (გარდა მიწისა)	11311	1 133,243	1 133,243
უცხოურ საერთაშორისო კონტინგენტი (გარდა მიწისა)	1131101	492,038	492,038
ფინანსური პირის კონტინგენტი (გარდა მიწისა)	1131102		494,688
საერთაშორისო საერთაშორისო დანიშნულების მიწაზე	1131103	166,650	166,650
არასაერთაშორისო საერთაშორისო დანიშნულების მიწაზე	1131104	43,335	43,335
სხვა გადასახადები კონტინგენტებზე	1131105	430,720	430,720
სხვა გადასახადები	1136		441,466
გრანტები	118	0,618	0,618
საზღვარსაღარო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	13	7 822,660	8 361,160
გადასახადების ტრანსფერები	133	7 822,660	8 361,160
მახირითი ტრანსფერი ფედერაციული უფლებამოსილების განხორციელებასთან კავშირის ადმინისტრაციის რეგისტრაციის პოლიტიკის გადასახადების ტრანსფერი		4 454,600	4 454,600
საერთაშორისო ტრანსფერი		1 702,600	2 241,100
გ.მ. ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვა მიმართულებით დახმავებისათვის		1 665,460	1 665,460
გ.მ. საერთაშორისო მოსახლეობის ფინანსური გადასახადების ტრანსფერი			
გ.მ. საერთაშორისო ტრანსფერების სარგებლო ფინანსური გადასახადების ტრანსფერი		176,000	176,000
გ.მ. საერთაშორისო ტრანსფერების განხორციელებით კავშირის ფინანსური გადამხდელი ხარჯები		150,000	150,000
სხვა საერთაშორისო ტრანსფერი (სოფლის მეურნეობის პროგრამა)		1 339,460	1 339,460
სხვა შემოსულობები			
შემოსულობები საბუღალტროდან	14	1 325,081	1 325,081
პროცენტები	141	806,920	806,920
დოვლანტები	1411	502,034	502,034
რენტები	1412		502,035
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსები	1416	304,886	
შემოსულობები მიწის ფლობისა და მოწყობის (უზრუნველყოფის, მოვლისა და სხვა) გადასახადები	14151	191,400	309,676
სხვა არადასაფარველი რენტები	14154	113,486	198,690
საქონლისა და მომსახურების გადასახადები	14159		110,986
ფინანსური მოსაკრებელი და გადასახადები	142	146,472	146,472
საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	1422	41,932	41,932
საერთაშორისო მოსაკრებელი	14222		42,263
საერთაშორისო მოსაკრებელი	14223	13,505	13,505
საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	14229	0,027	15,241
საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	142212	0,400	0,036
საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	142213		0,400
საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	142215		
საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	142216		
სხვა არადასაფარველი მოსაკრებელი (მიწაზე)	142214	28,000	28,000
არასაერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	142299		26,576
შემოსულობები საერთაშორისო საერთაშორისო საერთაშორისო მოსაკრებელი	1423	104,540	104,540
გადასახადების ტრანსფერები	14231		124,167
გადასახადების ტრანსფერები	14232	104,540	104,540
გადასახადების ტრანსფერები	143	335,192	335,192
გადასახადების ტრანსფერები	144		341,295
შემოსულობები და სხვა არადასაფარველი შემოსულობები	145	36,497	36,497
არაფინანსური აქტივების კლება			
მართილი აქტივები	31	44,796	44,796
არაფინანსური აქტივები	311		47,257
მიწა	314	44,796	44,796
სხვა ბუნებრივი აქტივები	3141	44,796	47,257
ფინანსური აქტივების კლება	31432		47,257
სხვა შემოსულობები			
სხვა შემოსულობები	32	0,000	0,000
სხვა შემოსულობები	3214		
სხვა შემოსულობები	3215		
სხვა შემოსულობები	3218		
გადაფარვების ზრდა			
გადაფარვების ზრდა	33	0,000	0,000
გადაფარვების ზრდა	332		
გადაფარვების ზრდა	331		

აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი

საფინანსო სამსახურის უფროსი

ნაკამიძე

ორგ. კოდი	დასახელება	2012 წლის წლიური დამტკიცებული გეგმა		2012 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა		2012 წლის წლიური საკისო შესრულება	
		სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები	სულ	მათ შორის სახ ბიუჯეტ ფონდები
	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	12 883,074	1 665,460	13 421,574	1 665,460	10 820,403	1 521,832
	მომუშავეთა რიცხოვნობა	189,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
	ხარჯები	5 422,282	176,000	5 957,782	176,000	5 185,644	39,696
	შრომის ანაზღაურება	1 731,085	0,000	1 731,085	0,000	1 757,848	0,000
	საქონელი და მომსახურება	1 356,573	16,000	1 397,406	16,000	1 224,989	0,961
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	78,180	0,000	78,180	0,000	70,236	0,000
	მიწის ხარჯები	18,100	0,000	18,100	0,000	13,525	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	400,685	0,000	406,685	0,000	355,356	0,000
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი პეიჯინის	35,500	16,000	35,500	16,000	13,376	0,961
	საანგარიშის შიშის ხარჯები	5,250	0,000	5,250	0,000	5,145	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-	204,674	0,000	211,494	0,000	200,708	0,000
	შენიშვნის ხარჯები	614,184	0,000	642,197	0,000	566,643	0,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1 781,489	0,000	1 781,489	0,000	1 774,092	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	385,385	160,000	953,435	160,000	355,256	38,735
	სხვა ხარჯები	167,750	0,000	94,367	0,000	73,459	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 414,119	1 489,460	7 414,119	1 489,460	5 586,925	1 482,136
	ვალდებულებების კლება	46,673	0,000	49,673	0,000	47,834	0,000
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანიზაციები	2 383,004	16,000	2 313,821	16,000	2 211,123	0,961
	მომუშავეთა რიცხოვნობა	160,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
	ხარჯები	2 307,231	16,000	2 235,048	16,000	2 134,558	0,961
	შრომის ანაზღაურება	1 473,464	0,000	1 473,464	0,000	1 502,196	0,000
	საქონელი და მომსახურება	631,687	16,000	632,887	16,000	524,079	0,961
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	78,180	0,000	78,180	0,000	70,236	0,000
	მიწის ხარჯები	16,600	0,000	16,600	0,000	12,025	0,000
	ოფისის ხარჯები	253,865	0,000	253,865	0,000	206,973	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	35,500	16,000	35,500	16,000	13,376	0,961
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი პეიჯინის	172,342	0,000	173,542	0,000	165,814	0,000
	საანგარიშის ხარჯები	75,200	0,000	75,200	0,000	55,655	0,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	112,080	0,000	112,080	0,000	108,283	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	90,000	0,000	16,617	0,000	0,000	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	29,100	0,000	29,100	0,000	28,731	0,000
	ვალდებულებების კლება	46,673	0,000	49,673	0,000	47,834	0,000
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	554,439	8,000	554,439	8,000	562,157	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	23,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
	ხარჯები	549,339	8,000	549,339	8,000	557,057	0,000
	შრომის ანაზღაურება	270,989	0,000	270,989	0,000	310,255	0,000
	საქონელი და მომსახურება	166,270	8,000	166,270	8,000	138,519	0,000
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	31,780	0,000	31,780	0,000	30,503	0,000
	მიწის ხარჯები	6,500	0,000	6,500	0,000	3,713	0,000
	ოფისის ხარჯები	78,990	0,000	78,990	0,000	64,094	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	11,000	8,000	11,000	8,000	3,000	0,000
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი პეიჯინის	38,000	0,000	38,000	0,000	37,209	0,000
	საანგარიშის ხარჯები	112,080	0,000	112,080	0,000	108,283	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,100	0,000	5,100	0,000	5,100	0,000
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 675,892	8,000	1 675,892	8,000	1 592,495	0,961
	მომუშავეთა რიცხოვნობა	137,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
	ხარჯები	1 651,892	8,000	1 651,892	8,000	1 568,864	0,961
	შრომის ანაზღაურება	1 202,475	0,000	1 202,475	0,000	1 191,941	0,000
	საქონელი და მომსახურება	449,417	8,000	449,417	8,000	376,923	0,961
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	46,400	0,000	46,400	0,000	39,733	0,000
	მიწის ხარჯები	10,100	0,000	10,100	0,000	8,312	0,000
	ოფისის ხარჯები	174,875	0,000	174,875	0,000	142,879	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	18,500	8,000	18,500	8,000	5,039	0,961
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი პეიჯინის	134,342	0,000	134,342	0,000	127,405	0,000
	საანგარიშის ხარჯები	65,200	0,000	65,200	0,000	53,555	0,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	24,000	0,000	24,000	0,000	23,631	0,000
02 01	ადმინისტრაციული სამსახური	616,529	8,000	616,529	8,000	566,281	0,961
	მომუშავეთა რიცხოვნობა	25,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

	შტატარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	9,600	0,000	9,600	0,000	8,810	0,000
	მედიკამენტები	9,000	0,000	9,000	0,000	8,312	0,000
	ოფისის ხარჯები	115,400	0,000	115,400	0,000	106,340	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	18,500	8,000	18,500	8,000	5,039	0,961
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მუშაურობის ხარჯები	85,405	0,000	85,405	0,000	78,623	0,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	65,200	0,000	65,200	0,000	53,555	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24,000	0,000	24,000	0,000	23,631	0,000
01 02 02	საფინანსო-ეკონომიკური სამსახური	91,043	0,000	91,043	0,000	86,970	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,000		0,000		0,000	
	ხარჯები	91,043	0,000	91,043	0,000	86,970	0,000
	პროცესის ანაზღაურება	74,353	0,000	74,353	0,000	73,544	0,000
	საქონელი და მომსახურება	16,690	0,000	16,690	0,000	13,426	0,000
	მედიკამენტები	0,900	0,000	0,900	0,000	0,000	0,000
	ოფისის ხარჯები	10,640	0,000	10,640	0,000	8,278	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მუშაურობის ხარჯები	5,150	0,000	5,150	0,000	5,148	0,000
01 02 03	ზღაპრულადგელობის სამსახური	44,422	0,000	44,422	0,000	43,483	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3,000		0,000		0,000	
	ხარჯები	44,422	0,000	44,422	0,000	43,483	0,000
	პროცესის ანაზღაურება	35,122	0,000	35,122	0,000	34,842	0,000
	საქონელი და მომსახურება	9,300	0,000	9,300	0,000	8,641	0,000
	მედიკამენტები	2,960	0,000	2,960	0,000	2,301	0,000
	ოფისის ხარჯები	6,340	0,000	6,340	0,000	6,340	0,000
01 02 04	კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლათა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	55,148	0,000	55,148	0,000	54,493	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	5,000		0,000		0,000	
	ხარჯები	55,148	0,000	55,148	0,000	54,493	0,000
	პროცესის ანაზღაურება	52,208	0,000	52,208	0,000	51,753	0,000
	საქონელი და მომსახურება	2,940	0,000	2,940	0,000	2,740	0,000
	მედიკამენტები	0,200	0,000	0,200	0,000	0,000	0,000
	ოფისის ხარჯები	2,740	0,000	2,740	0,000	2,740	0,000
01 02 05	ქონების მართვის, პრივატიზაციის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სამსახური	2,051	0,000	2,051	0,000	2,051	0,000
	ხარჯები	2,051	0,000	2,051	0,000	2,051	0,000
	პროცესის ანაზღაურება	1,351	0,000	1,351	0,000	1,351	0,000
	საქონელი და მომსახურება	0,700	0,000	0,700	0,000	0,700	0,000
	შტატარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0,400	0,000	0,400	0,000	0,400	0,000
	ოფისის ხარჯები	0,300	0,000	0,300	0,000	0,300	0,000
02 06	ქონების მართვის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	19,842	0,000	19,842	0,000	19,473	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,000		0,000		0,000	
	ხარჯები	19,842	0,000	19,842	0,000	19,473	0,000
	პროცესის ანაზღაურება	18,970	0,000	18,970	0,000	18,601	0,000
	საქონელი და მომსახურება	0,872	0,000	0,872	0,000	0,872	0,000
	შტატარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0,400	0,000	0,400	0,000	0,400	0,000
	ოფისის ხარჯები	0,115	0,000	0,115	0,000	0,115	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მუშაურობის ხარჯები	0,357	0,000	0,357	0,000	0,357	0,000
02 07	ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური	145,866	0,000	145,866	0,000	134,127	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8,000		0,000		0,000	
	ხარჯები	145,866	0,000	145,866	0,000	134,127	0,000
	პროცესის ანაზღაურება	88,926	0,000	88,926	0,000	86,449	0,000
	საქონელი და მომსახურება	56,940	0,000	56,940	0,000	47,678	0,000
	შტატარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	31,200	0,000	31,200	0,000	27,799	0,000
	ოფისის ხარჯები	10,880	0,000	10,880	0,000	5,019	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-მუშაურობის ხარჯები	14,860	0,000	14,860	0,000	14,860	0,000
02 08	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	35,672	0,000	35,672	0,000	33,545	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2,000		0,000		0,000	
	ხარჯები	35,672	0,000	35,672	0,000	33,545	0,000
	პროცესის ანაზღაურება	25,162	0,000	25,162	0,000	25,162	0,000
	საქონელი და მომსახურება	10,510	0,000	10,510	0,000	8,383	0,000

	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	2,710	0,000	2,710	0,000	2,710	0,000
01 02 09	ტერიტორიული ორგანოები (11)	635,528	0,000	635,528	0,000	623,006	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	78,000		0,000		0,000	
	ხარჯები	635,528	0,000	635,528	0,000	623,006	0,000
	შრომის ანაზღაურება	592,658	0,000	592,658	0,000	592,286	0,000
	საქონელი და მომსახურება	42,870	0,000	42,870	0,000	30,720	0,000
	ოფისის ხარჯები	27,030	0,000	27,030	0,000	14,967	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	15,840	0,000	15,840	0,000	15,753	0,000
01 02 10	შიდა აუდიტის სამსახური	29,791	0,000	29,791	0,000	29,066	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2,000		0,000		0,000	
	ხარჯები	29,791	0,000	29,791	0,000	29,066	0,000
	შრომის ანაზღაურება	24,301	0,000	24,301	0,000	23,982	0,000
	საქონელი და მომსახურება	5,490	0,000	5,490	0,000	5,084	0,000
	ოფისის ხარჯები	1,810	0,000	1,810	0,000	1,470	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	3,680	0,000	3,680	0,000	3,614	0,000
01 03	სარეზერვო ფონდი	90,000	0,000	16,617	0,000	0,000	0,000
	ხარჯები	90,000	0,000	16,617	0,000	0,000	0,000
	სხვა ხარჯები	90,000	0,000	16,617	0,000	0,000	0,000
01 04	აუდიტორული მომსახურების ხარჯი	10,000	0,000	10,000	0,000	2,100	0,000
	ხარჯები	10,000	0,000	10,000	0,000	2,100	0,000
	საქონელი და მომსახურება	10,000	0,000	10,000	0,000	2,100	0,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	10,000	0,000	10,000	0,000	2,100	0,000
01 05	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	46,673	0,000	49,673	0,000	47,834	0,000
	ვალდებულებების კლება	46,673	0,000	49,673	0,000	47,834	0,000
01 06	მაკროეკონომიკური მონაცემების ხარჯი	6,000	0,000	6,000	0,000	5,337	0,000
	ხარჯები	6,000	0,000	6,000	0,000	5,337	0,000
	საქონელი და მომსახურება	6,000	0,000	6,000	0,000	5,337	0,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	6,000	0,000	6,000	0,000	5,337	0,000
01 07	შეღებულ დაბრუნებულ კრედიტულ პერიოდების დახვედრის ღირებულების ხელშეწყობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრანსპორტირებისათვის (სარეზერვო ფონდი)	0,000	0,000	1,200	0,000	1,200	0,000
	ხარჯები	0,000	0,000	1,200	0,000	1,200	0,000
	საქონელი და მომსახურება	0,000	0,000	1,200	0,000	1,200	0,000
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	0,000	0,000	1,200	0,000	1,200	0,000
02 00	სახანძრო-სამაშველო სამსახური	229,924	0,000	229,924	0,000	223,060	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	21,000		0,000		0,000	
	ხარჯები	229,924	0,000	229,924	0,000	223,060	0,000
	შრომის ანაზღაურება	184,059	0,000	184,059	0,000	182,140	0,000
	საქონელი და მომსახურება	45,865	0,000	45,865	0,000	40,920	0,000
	ოფისის ხარჯები	10,040	0,000	10,040	0,000	8,513	0,000
